მზია წერეთელი - პროფესორი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებით სტუდენტთა კმაყოფილების დეტერმინანტები: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ქართველ სტუდენტთა კვლევა

სტუდენტთა კარგად ყოფნისა და აკადემიური წარმატების უზრუნველსაყოფად უაღრესად მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების დაწესებულებებით სტუდენტების და მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების, კმაყოფილების განმაპირობებელი ფაქტორების შესწავლა.

კვლევის მიზანია შეისწავლოს ის ძირითადი ფაქტორები, რომელებსაც წვლილი შეაქვთ საკუთარი უმაღლესი განათლების დაწესებულებებით სტუდენტთა კმაყოფილების განცდაში. კვლევა იყენებს საერთაშორისო კვლევის „ევროსტუდენტი 8"-ის მეორად მონაცემებს, კერძოდ კი, ქართულ ეროვნულ მონაცემთა ბაზას, რომელიც შეგროვდა 2002 წლის გაზაფხულის სემესტრში. კვლევის შერჩევა მოიცავს საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტების სპეციალური საჭიროების მქონე ათასზე მეტი სტუდენტის მონაცემებს. სწავლით კმაყოფილების პრედიქტორების გამოსავლენად, განხორციელდა მონაცემთა მრავლობითი რეგრესიული ანალიზი.

კვლევამ გამოავლინა რამდენიმე ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვნად განაპირობებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა კმაყოფილებას. მათ შორისაა, პოზიტიური და მხარდამჭერი სასწავლო გარემო, საკუთარ უნივერსიტეტთან და ჯგუფთან მიკუთვნებულობის განცდა, ასევე, დახელოვნების შესაძლებლობა ისეთ „რბილ" უნარებში, როგორიცაა, გუნდური მუშაობა, ტოლერანტობა, კომუნიკაცია და პრობლემის გადაწყვეტა.

კვლევის მონაცემები განხილულია სტუდენტთა სექსისა და სწავლების საფეხურის ფაქტორების გათვალისწინებით.

ამგვარად, კვლევა გვაძლევს ყურადსაღებ სურათს საქართველოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებს შორის მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებით კმაყოფილების შესახებ და შესაბამისად, საშუალებას იძლევა უფრო ღრმად გავიაზროთ და განვავითაროთ საქართველოში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტების უმაღლესი განათლების პოლიტიკა.

საკვანძო სიტყვები: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტები, სწავლით კმაყოფილება, სასწავლო პროცესით კმაყოფილება

Mzia Tsereteli –Professor, Faculty of Psychology and Educational Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Determinants of Students' Satisfaction in Higher Education Institutions: A Study of Georgian Students with Special Education Needs

Understanding the factors that contribute to students' satisfaction in higher education institutions (HEIs) is of paramount importance in ensuring their overall well-being and success in their academic journey, particularly for students with special education needs.

The study aims to investigate the key factors that contribute to students' satisfaction with their higher education institutions. The research utilizes secondary data from the Eurostudent 8 international survey, specifically focusing on the Georgian national database collected during the spring term of 2022. The sample consists of over one thousand students with special education needs from various universities in Georgia. To determine the predictors of satisfaction among students with special education needs, Multiple Regression Analysis was employed. The findings revealed that several factors significantly influenced the satisfaction of Georgian students with special educational needs, including a positive and supportive study environment, a sense of identification with their university and class, as well as proficiency in essential soft skills such as teamwork, tolerance, communication, and problem-solving.

The findings are examined in the context of students' gender and study level. Overall, this research illuminates the level of satisfaction among Georgian students with special education needs towards their higher education institutions. Furthermore, this study contributes to a deeper understanding of the future development of policies for students with special educational needs in Georgian HEIs.

Key words: Students with special education needs, study satisfaction, teaching process satisfaction.